# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

## ო ქ მ ი#1

28 იანვარი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გრიგოლ ტაბეშაძე

ფრიდონ მაჩიტაძე

მურად ბურჯანაძე

თემურ მინაძე

მამუკა გორგოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთევან კარკაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ ნერგეეთში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე №04/1- 42.82 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე ნებართვის მიცემის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი

5. „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელმა: ქეთევან კარკაძემ

კომისიის წევრი: ფრიდონ მაჩიტაძემ კითხვით მიმართა ქეთევან კარკაძეს მიწის ფასი სოფლისათვის გზიდან ერთ კილომეტრში კვ. მეტრის ფასი რა არის

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი: ქეთევან კარკაძემ უპასუხა ფრიდონ მაჩიტაძეს, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი სოფელში არის კვ.მ 6ლარი და 75თეთრი

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ:** სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2** კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელმა: ქეთევან კარკაძემ

**კომისიის წევრი:** ფრიდონ მაჩიტაძემ კითხვით მიმართა ქეთი კარკაძეს სოფ. დიმში ეს მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არის

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელი:** ქეთევან კარკაძემ უპასუხა კი ბატონო სასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთია

**კომისიის თავმჯდომარე:** სიმონ ჭოლოკავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს მიწის ნაკვეთი სოფელ დიმში საჭიროებს დამატებით შესწავლას ორთოფოტოები სჭირდება, პარნიკები და რაღაც შენობების ნაწილია ჩანს ამიტომ სჯობს სრულყოფილად შესწავლა და საკითხის სამომავლოდ გადადება, გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები

კომისიის წევრი: თემურ მინაძე თუ არის რაიმე დასასურათებელი დავასურათოდ და საერთოდ ასეთ საკითხებს ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ:** სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ. ნუსხიდან შემდგომში საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ამოღებული იქნას სოფელ დიმში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხოლო დანარჩენი ობიექტთა ნუსხაში არსებული ჩამონათვალი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ. ნუსხიდან შემდგომში საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ამოღებული იქნას სოფელ დიმში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ხოლო დანარჩენი ობიექტთა ნუსხაში არსებული ჩამონათვალი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი:ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენელმა: ქეთევან კარკაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ:

სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ. ამოღებული იქნას სოფელ დიმში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზაციო გეგმიდან ხოლო დანარჩენი არსებული ჩამონათვალი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ. ამოღებული იქნას სოფელ დიმში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საპრივატიზაციო გეგმიდან ხოლო დანარჩენი არსებული ჩამონათვალი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი4** კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ ნერგეეთში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე №04/1- 42.82 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე ნებართვის მიცემის შესახებ

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ:** სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ ნერგეეთში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე №04/1- 42.82 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე ნებართვის მიცემის შესახებ წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე
კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ ნერგეეთში 30.10.31.100 საკადასტრო კოდზე მდებარე №04/1- 42.82 კვ.მ. შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე ნებართვის მიცემის შესახებ წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი5 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი:„ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ, მან განაცხადა, რომ ბინათმესაკუთრეთა დადგენილებაში ცვლილება კერძოდ კოსტავას ქუჩის საერთო ბინის ფასადის მოწესრიგებისათვის კორექტირებული დოკუმენტაცია მოითხოვს თანხების მომატებას

კომისიის წევრი: ფრიდონ მაჩიტაძემ კითხვით მიმართა კახა მსხვილიძეს ეს საპროექტო თანხები გადახდილია

ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა ფრიდონ მაჩიტაძეს ამ პროექტის შედგენას თვითონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ასრულებს

კომისიის წევრი: მურად ბურჯანაძემ განაცხადა, რომ უნდა მოიძებნოს ოპტიმალური პროცენტული თანადაფინანსება

კომისიის თ/მოადგილე: მამუკა გორგოძემ გამოთქვა მოსაზრება 5% - თანადაფინანსება ამ შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი დავტოვოთ და განვსაზღვროთ რაღაც პცენტიდან მაქსიმუმამდე

ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა მამუკა გორგოძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს

გამოიწვევს გარკვეულ უხერხულობას, რადგან არ იქნება თანადაფინანსებაში პროცენტის ზუსტი რაოდენობა განსაზღვრული

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა